პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 109 (6164)

1978 წ. 6 ივნისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბრძანებულება

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია მოწვეული იქნეს 1978 წლის 5 ივლისს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1978 წლის 2 ივნისი.

## პირველი ფინალები...

**მესამე** საკავშირო საზაფხულო ...ფლის სპორტული თამაშების ...სობრივ შეჯიბრებებში 8 მილიო...მდე ფიზკულტურელი მონაწილე...ბდა. და აი, დადგა ფინალური ...ურნირების ხანა: რიგაში, ნოვაია ...ხოვკაში, ლვოვში უკვე ჩატარდა ...შეილდოსნების, ტყვიის მსროლე...ების, მოჭადრაკეებისა და მოშა...ეთა დასკვნითი შეჯიბრებები, გა...ოვლინდნენ პირველი ჩემპიონე...ი. ოთხი სახეობის შემდეგ საერ...ო კომპლექსურ ჩათვლაში ლი...დერობენ რსფსრ-ს სპორტსმენები, ...რომლებმაც სამჯერ კვარცხლბეკის ...უმაღლესი საფეხური დაიკავეს.

თამაშების მთავარი ამოცანაა ...ფლის მოსახლეობაში ფიზკულ...ტურულ-სპორტული დონის ამაღ...ლება, სსრ კავშირის ხალხთა VII ...სპარტაკიადისთვის მზადება, ახალი ...ტალანტების — ოლიმპიური ნაკ...რების კანდიდატების შერჩევა...

უჩვეულოდ დიდია წლევანდელი თამაშების გეოგრაფია. ფინალური ტურნირების წინა სტარტებში 65 ...ათასი ფიზკულტურული კოლექტი...ვი მონაწილეობდა. მარტო შარშან ...გამარჯვებისთვის იბრძოდა 700 ...ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან ...637-მა სპორტის ოსტატის ნორმა...ტივი შეასრულა, ხოლო 32 ათას...მა — სპორტის ოსტატობის კან...დიდატის ან პირველი თანრიგისა.

...დრინდელი ამგვარი თამაშები...სგან განსხვავებით წლევანდელ ას...პარეზობათა პროგრამას დაემატა ...მშვილდოსნობა, ბაიდარებითა და ...კანოეებით ნიჩბოსნობა, ძიუდო, ...ფეხბურთი.

...წინ მრავალი საინტერესო ფინა...ლური ტურნირია. 1-5 ივლისს შე...ღეგებს შეაჯამებენ მესტენდურე...ები, 14-26 ივლისს უნგენში გაი...მართება ცხენოსანთა სტარტები, ...ხოლო 4-23 ივლისს დუბასარი ბა...იდარებითა და კანოეებით ნიჩბოს...ნობის ოსტატებს უმასპინძლებს. ...აქვე 19-24 აგვისტოს ძალებს ცდი...ან ველოსიპედისტები. ზუსტად ...ამავე რიცხვებში კიშინიოვში და...ეს გაარკვევენ ძიუდოისტები, სამ...ბისტები, „კლასიკოსები" და თა...ვისუფალი სტილის მოჭიდავეები, ...ბერთევე, მძლეოსნები. ტირასპოლ...ში იასპარეზებენ ხელბურთელები (13-24 აგვისტო) და ფეხბურთე...ლები (14-23 აგვისტო).

## დაჯილდოება

**ქუთაისის** სპორტკომიტეტის ...თავმჯდომარე, სპორტის დამსახუ...რებული ოსტატი **ლ. ახვლედიანი** ...ფიზკულტურასა და სპორტში ხან...გრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთ...ვის, დაბადების 50 წლისთავთან ...დაკავშირებით, საქართველოს სსრ ...ფიზკულტურისა და სპორტის კო...მიტეტმა **საპატიო სიგელით** დაა...ჯილდოვა.

## ამანათრბენი 21 ეტაპზე



„კომუნისტის" მეექვსე ტრადიციული



**გაზეთ** „კომუნისტის" რედაქციის ინიციატივით რამდენიმე წლის უკან კარგ ასპარეზობას ჩაეყარა საფუძველი. ეს გახლავთ ამანათრბენი თბილისის ქუჩებში, რომელიც მონაწილეთა და გულშემატკივართა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს.

არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც ჟურნალ-გაზეთების რედაქციები დიდი ხანია მოვიდნენ ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების დასახმარებლად — მათ პრიზებზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში ბევრი რანგის შეჯიბრებები იმართება, მაგალითად „ზარია ვოსტოკას" პრიზზე ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირებს სპორტის სასახლე აგერ მერამდენე წელია მასპინძლობს. „ლელოს" პრიზებზე სამთომოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებები ტარდება ხოლმე... მაგრამ „კომუნისტის" პრიზის გათამაშება ამანათრბენში მაინც სხვაა, იგი სულ რაღაც ნახევარ საათს გრძელდება, მაგრამ დაძაბულობით არც ერთ სხვა შეჯიბრებას არ ჩამოუვარდება.

ასე იყო კვირასაც, როცა ამ გაზეთის პრიზის მეექვსე გათამაშების სტარტზე „კომუნისტის" რედაქციასთან რვა სპორტსაზოგადოებისა და უწყების 16 გუნდი შეგროვდა (თვითეულ ორგანიზაციას 2-2 ნაკრები გამოჰყავდა, ვინაიდან ჩათვლაში ორივე კოლექტივის საერთო მაჩვენებელი შედიოდა).

16 ქალი ამანათებით ერთდროულად დაიძრა. ეტაპი ყველაზე ადრე დაამთავრა „სპარტაკის" წევრმა ტ. კორობკინამ და პირველ ეტაპზე გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზიც დაისაკუთრა, მაგრამ „კომუნისტის" მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში კორობკინას მიერ მოპოვებული ინიციატივა თანაგუნდელებმა ვეღარ შეინარჩუნეს, მათ ჯერ „კოლმეურნის" მძლეოსნებმა გაასწრეს, მერე „ბურევესტნიკის" ათლეტებმაც, უფრო გვიან კი „სპარტაკი" „დინამოსაც" ჩამორჩა.

მძლეოსნებს ამანათი სულ 13 ეტაპზე მიჰქონდათ. დროდადრო (გამარჯვების პარკიდან ორჯონიკიძის ძეგლამდე, ინფექციურ საავადმყოფოდან — კინოსტუდია „ქართულ ფილმამდე" და გრიბოედოვის ძეგლიდან — ლენინის მოედნამდე) ბრძოლაში ველოსიპედისტები ებმებოდნენ. მათ თვითეულ ეტაპზე 2300-მეტრიანი გზა ჰქონდათ გასავლელი.

„ბურევესტნიკი" დიდხანს — ლენინის მოედნამდე ლიდერობდა. ამ საზოგადოების ველოსიპედისტმა რ. წაქაძემ მე-16 ეტაპის სტარტზე ოდნავ მიასწრო „კოლმეურნეს". აქ მან ამანათი ა. კუროვსკაიას გადასცა. ს. ალტუხოვამ („კოლმეურნე") კუროვსკაიას ჩამოტოვება შეძლო, მაგრამ გარჯა ფუჭი გამოდგა, რადგან პიონერთა სასახლესთან გამართულ ეტაპზე ალტუხოვამ თანაგუნდელ ფ. მეგრელაძეს ესტაფეტა უხეიროდ მიაწოდა და იგი ძირს დაუვარდა. „ბურევესტ-





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სტარტი; ერთ-ერთ ეტაპზე; „კოლმეურნის" გუნდი პრიზით.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ნიკი" მდგომარეობას ისევ დაეპატრონა, იგი ფინიშთანაც ყველაზე ადრე მიიჭრა.

სტუდენტებმა ზ. გუჩმაზოვამ, ა. იავლოვსკიმ, რ. ოქრუაშვილმა, ლ. ზიმინამ, ი. ციგულიოვმა, მ. შაპოვალოვმა, დ. კობაიძემ, ვ. ფიოდოროვმა, ა. ხახიაურმა, მ. ჯიოევამ, ი. ვოლკოვმა, ლ. ბლიაძემ, ი. მაჩაიძემ, ტ. ჩოლოყაშვილმა, რ. წაქაძემ, ა. კუროვსკაიამ, ვ. კუპრიანოვმა, ვ. მაჩაბელმა, ლ. დარახველიძემ, ი. სანასასიუკმა და დ. მელაძემ მთელი წრის შემოვლას 30 წუთი და 21 წამი მოანდომეს. ამ შეჯიბრების ისტორიაში ასე სწრაფად აქამდე არც ერთ გუნდს არ ურბენია.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „კოლმეურნის" I ნაკრები — 30.27,0 და „დინამოს" I გუნდი — 30.45,0. მთელი შეჯიბრების საშუალო სისწრაფეც შარშანდელზე გაცილებით მეტი იყო.

„კომუნისტის" პრიზი „კოლმეურნის" ნაკრებმა მოიგო. ამ საზოგადოების სპორტსმენებმა ორი გუნდის ჯამში ტრასაზე ყველაზე ნაკლები დრო (1 საათი, 2 წუთი და **52,4** წამი) დახარჯეს. ეს შარშან გამარჯვებული „განთიადის" მაჩვენებელზე სამნახევარი წუთით უკეთესია.

მომდევნო ადგილები ერგოთ „ბურევესტნიკს" (1:04.36,0) და „დინამოს" — **1:04.47,0.**

„კომუნისტის" რედაქციისა და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის ეს ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული, რასაც ხელი შეუწყო მსაჯთა კოლეგიისა და ქალაქის ავტოინსპექციის გულმოდგინებამ.

**ო. გელაშვილი.**

## ველოსპორტი

### „თეთრი ღამეები"

**ლენინგრადში** სტარტი აიღო პირველმა საერთაშორისო მრავალდღიანმა ველორბოლამ, რომელსაც „თეთრი ღამეები" ეწოდება. საბჭოთა კავშირის (12 გუნდი) და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივების 85 ველოსიპედისტი გამოვიდა სტარტზე, რომელიც ლენინგრადიდან ტალინამდე გრძელდება. მათ სულ 1405 კილომეტრი აქვთ გასავლელი. ტრასა 10 ეტაპად არის დაყოფილი.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში არიან მშვიდობის წლევანდელ ველორბოლაში გამარჯვებულნი ა. ავერინი, ი. ზახაროვი, ს. ჰუსაინოვი, ა. პიკუუსი, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორები.

პირველ ეტაპზე ლენინგრადიდან ზელენოგორსკამდე და უკან (183 კმ) ყველას აჯობა ვ. გალინაუსკასმა (ლატვია), რომელმაც მოიგო, აგრეთვე, რბოლა-კრიტერიუმი ქ. პუშკინის ქუჩებში. აქ მან 20 წრე (62 კმ) 24 წუთსა და 31 წამში დაფარა. ახლა იგი შეჯიბრების ლიდერია.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები.

## ჩემპიონთა მიზანი

**ანგისის** სტადიონზე ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს ბალახის ჰოკეისტთა ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდები, აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები. შეჯიბრება წრიული სისტემით — ორ წრედ ჩატარდა.

ბოლო ტურის წინ ბათუმელებს 9 ქულა ჰქონდათ, ხოლო ქუთაისელებს — 7. სწორედ ამ გუნდების შეხვედრას უნდა გამოევლინებინა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი. ბათუმელებს ფრეც ჰყოფნიდათ, ქუთაისელებს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ, რომლებიც ბურთების უკეთესი სხვაობით ხდებოდნენ რესპუბლიკის ჩემპიონები.

ეს მეტად დაძაბული მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა.

ამრიგად, 10 ქულით საქართველოს 1978 წლის ჩემპიონის წოდება ბათუმელმა ჰოკეისტებმა მოიპოვეს. II ადგილზეა ქუთაისის გუნდი — 8 ქულა, ხოლო III — თბილისელთა კოლექტივი — 5 ქ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მხოლოდ 1 ქულა მოაგროვა.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა ნ. შანიძემ გვითხრა: „ბათუმის „განთიადში" რესპუბლიკური დაოსტატების ქალთა და ვაჟთა ორი ჯგუფი მუშაობს, რაც უთუოდ ზღვაში წვეთია, საჭიროა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებშიც ჩამოყალიბდეს ბალახის ჰოკეისტთა ჯგუფები. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ბათუმში ძალიან მცირეა სათამაშო მოედნები. ამას გარდა, საქართველოში არ იშოვება ხარისხიანი ყვანჯები. ყოველივე ამას დროულად უნდა მოევლოს, რადგან ბალახის ჰოკეი საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი შევსება მივცეთ საქართველოს ნაკრებს და წარმატებით დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება ამ დიდ ასპარეზობაში".

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ვიყოთ ობიექტურნი!

**ფეხბურთი** ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული, საინტერესო და ემოციური სახეობაა სპორტულ თამაშებს შორის. მას არაფერი შეედრება საყოველთაო პოპულარობით, აუდიტორიის სიმრავლით, სანახაობრივი სიმდიდრით.

მაგრამ ფეხბურთის მატჩის სილამაზის დასანახავად, ესთეტური სიამოვნების მისაღებად, კარგად ჩაფიქრებული და განხორციელებული კომბინაციების, მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის აღსაქმელად ფეხბურთს არ უნდა ვუყუროთ მიკერძოებული, მარტოოდენ თამაშის შედეგით დაინტერესებული, არაობიექტური თვალით. როცა მაყურებელს აინტერესებს მხოლოდ მოგება, ე. ი. აღებული ქულები და აქედან გამომდინარე — გუნდის მიერ დაკავებული ადგილი, იგი რიგიანად ვერ ხედავს თავის თამაშს, ვერ ღებულობს იმ სიამოვნებას, რომელიც სპორტულ ასპარეზობაზე დამსწრე მაყურებელმა უნდა იგრძნოს.

ფეხბურთს უნდა ვუყუროთ მოთამაშე გუნდების მაისურების ფერით, ფეხბურთელთა ნომრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგვრჩება მთავარი — მეტოქეთა სპორტული ოსტატობის დონე, ფეხბურთელთა ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობა, თამაშის შინაარსი, ბრძოლის მთავარი არსი. თუ გამარჯვების სურვილით გატაცებული გულშემატკივარი ხედავს მხოლოდ თავისი გუნდის მოთამაშეებს, მოწინააღმდეგეებს კი ვერა, მას აუცილებლად გამორჩება მხედველობიდან ის მთავარი, რაც მინდორზე ხდება, საკუთარ კარში გაშვებულ ბურთებს მიაწერს შემთხვევითობას ან გაუთვალისწინებელ შეცდომებს, ხოლო მეტოქის კარში გატანილ გოლებს ჩათვლის სრულ კანონზომიერებად და სპორტული ხელოვნების ნამდვილ ნიმუშად.

დღეს ჩვენ თბილისის „დინამოსთან“ ერთად ვიბრძვით პრიზისთვის „გუნდთან ერთად“, მაშასადამე ვალდებული ვართ ვუქომაგოთ ჩვენს გუნდს, მაგრამ ამავე დროს გვმართებს ვიყოთ ობიექტურნი და ზედმეტმა ემოციებმა არ დაგვაკარგვინოს წონასწორობა. საჭიროა შევინარჩუნოთ ჩვენი ისტორიული კულტურა რაინდულ ბრძოლაში. რახან გუნდთან ერთად ვართ, ისინი ჩვენი ფალავნები არიან, ის მხარე კი, რომელიც შერკინების წესს არ იცავს, დასაძრახია.

მაგალითისთვის ავიღოთ ჩვენი ახალი გიგანტი სტადიონი. უზარმაზარ ტრიბუნებზე აქა-იქ, თითოოროლა ქალს თუ ნახავთ, რომელთა რიცხვი თანდათან კლებულობს. ეს იმიტომ რომ, როცა თბილისის „დინამო“ თამაშობს, ხშირადაა ხოლმე ყურისწამღები ღრიანცელი, ვაი-გულშემატკივრები ლანძღვაგინებით იკლებენ იქაურობას, მინდვრისკენ გატყორცნილი სხვადასხვა საგნებით გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას. თუ მეტოქე არღვევს წესს, ტრიბუნებზე ხშირად აუწერელი ყიჟინაა, თუ იმავეს სჩადის თბილისელი მოთამაშე, არც თუ იშვიათად გაისმის ხოლმე შეძახილები: „მიდი, აგრე, მოცელე...“ და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში არაობიექტური, შეცდომებიანი მსაჯობა უმაღლეს ლიგაში მინიმუმამდე დავიდა. რაც არ უნდა კორექტულად, ითამაშონ გუნდებმა, უჯარიმოდ ფეხბურთი არ დამთავრდება. წესებით ზუსტადაა განსაზღვრული როდის უნდა იქნას დანიშნული ჯარიმა და როდის არა. ამას მინდორზე განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ მსაჯი. ეს მარტო მისი კომპეტენციაა, მაგრამ მიკერძოებულ მაყურებელს მუდამ ეჩვენება, რომ მსაჯი ჩაგრავს მის გუნდს და სასჯელს არ ადებს მეტოქეს დარღვევისთვის. მაგალითად, მეტოქემ აშკარად უხეშად ითამაშა რომელიმე თბილისელის წინააღმდეგ, მაგრამ მან მოასწრო ბურთის გადაცემა პარტნიორისთვის და ამ უკანასკნელს შეექმნა კარის აღების საშუალება. თუ ეს ეპიზოდი გოლით დამთავრდა, ხომ კარგი, თუ არა, მაშინ მაყურებელთა ნაწილი ხმაურს ტეხს და თხოულობს ჯარიმის დანიშვნას პირვანდელი დარღვევისთვის. ამ შემთხვევაში მსაჯი მართალი იყო, ვინაიდან მან არ დასტვინა დამნაშავის სასარგებლოდ და არ შეწყვიტა საგოლე კომბინაცია.

ცხადი და ბუნებრივია, რომ საკუთარი გუნდის გამარჯვება ყველას უხარია და აღაფრთოვანებს, მაგრამ მარტო ამ მიზნით სტადიონზე სიარული აღარიბებს მაყურებლის საფეხბურთო ერუდიციას. ნათქვამის საილუსტრაციოდ ასეთ მაგალითებს მოვიყვან: ვთქვათ, თბილისის „დინამო“ ხვდება კიეველ თანაკლუბელებს. თუ თამაში მოვიგეთ, ნათლად გვახსოვს ჩვენი ყოველი კომბინაცია, ვიდეოჩანაწერივით გვიდგას თვალწინ თითოეული მოთამაშის მოქმედება და სრულიად გამორჩენილი გვაქვს მხედველობიდან მოწინააღმდეგე გუნდის თამაში, მისი ცალკეული ფეხბურთელის კლასი. მაგრამ როცა თამაშობენ მოსკოვის „დინამო“ და „ტორპედო“, აქ მიკერძოებული ინტერესი არ გვაჩნია და ამიტომ თვალნათლივ ვხედავთ ორივე გუნდის ყველა მოქმედებას, ტაქტიკას, ვარჩევთ ცალკეულ მოთამაშეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, ე. ი. ღრმად, შინაარსიანად ვიჭრებით თვით თამაშის შინაარსში.

## პრიზი, რომელ[illegible] ყველა ერთად უნდა [illegible]

მიჩნეულია, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ობიექტური მაყურებელი მოსკოვშია. დედაქალაქს 5 გუნდი ჰყავს უმაღლეს ლიგაში, გულშემატკივარი დაყოფილია მრავალ ბანაკად და მატჩების უმეტეს ნაწილს უყურებს ნეიტრალის თვალით. ამიტომ იგი უფრო დამშვიდებით და მიუკერძოებლად ერკვევა მინდორზე მომხდარ ამბებში. მაგრამ აქ კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: მოსკოვის სტადიონებზე ხშირად ნახავთ ქალებსაც და ბავშვებსაც, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან ფეხბურთის მატჩებს. ეტყობა, იქაური წესრიგი შესაძლებლობას იძლევა ქალებმა და ბავშვებმა ფეხბურთს უყურონ უწმაწური სიტყვებისა და ზედმეტი ღრიანცელის გარემოცვის გარეშე.

ერთი სიტყვით, ქომაგობა-ქომაგობად, მხარდაჭერა-მხარდაჭერად, მაგრამ თუ გინდა ფეხბურთს ხეირიანად უყურო და თამაში აღიქვა მთელი მისი სიგრძე-სიგანით, ვიმეორებ — გუნდები უნდა გაარჩიო უმთავრესად მაისურების ფერით, გულდასმით დააკვირდე საკუთარ გუნდსაც და მეტოქესაც.

სულ ახლახან დაწესდა ძალზე საყურადღებო, დიდმნიშვნელოვანი პრიზი „გუნდთან ერთად“. ეს კოლექტიური პრიზია. მისი მოპოვება ძნელია, მაგრამ ჩვენი ისტორიული წარსული, ზრდილი თავდაჭერა ქალთა სქესის მიმართ, ტრადიციული სტუმართმოყვარეობა, მაღალი კულტურა, სპორტული კეთილშობილება უნდა იქცეს იმის უტყუარ წინამძღვრად, რომ პრიზის მფლობელები გახდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, ჩვენი შესანიშნავი სტადიონი და ქართული ფეხბურთის მოყვარულები.

**გ. ჯეჯელავა,**
**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

# კარგი იქნება

გულშემატკივრები მოხარული ვართ, რომ დაწესდა ახალი პრიზი „გუნდთან ერთად“, რომელიც საყოველთაო ინტერესს იწვევს. მაგრამ, ჩემი აზრით, კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა თუ ახალი პრიზის დებულებას დავუმატებდით 2 პუნქტს.

1. უმაღლესი ლიგის ფეხბურთის მატჩების შესვენების დროს ხშირად იმართება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები, მაგრამ ზოგჯერ ეს არ ხდება და 15 წუთი მაყურებელი უქმად არის. კარგი იქნება თუ ფეხბურთის მატჩების შესვენების დროს ჩატარებულ ღონისძიებათა ხარისხი, აგრეთვე, დაურიცხავს სტადიონს დამატებით ქულებს.

2. სტადიონებს, რომლებიც დაწინაურდებიან ახალი პრიზისთვის ბრძოლაში, უნდა მიეცეს უფლება უმასპინძლონ საინტერესო საერთაშორისო მატჩებს, მაყურებლებს მეტი სტიმული ექნებათ აქტიურად იბრძოლონ პრიზის მოსაპოვებლად.

**გ. დოგუზოვი.**



ესეც ისეთივე ბაგა-ბაღია, ჩვენს დედაქალაქში ასობით რომ გვაქვს. დილაობით აქაც მოჰყავთ დედიკოებს და მამიკოებს, პაპებს და დიდედებს ცუგრუმელა გოგონები, ონავარი ბიჭუნები, აქაც თვალებგაფართოებულნი მისჩერებიან მასწავლებლებს ნორჩები და მათ ყოველ სიტყვას გონების „დაუწერელ დაფაზე“ იბეჭდავენ.

სათუთები არიან, ჩვილები და ნორჩები. ზოგი მხიარულია, ენატიკტიკა, ზოგი გულჩათხრობილი, ამხანაგებს ერიდება, განცალკევებით, თავისთვის თამაშობს. მასწავლებელი ასეთ ბავშვს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება, ცდილობს გაახალისოს, გაამხიარულოს,

# იმედი უნდა ვიქონიოთ

საერთო ფერხულში ჩააბას.

ყველა მათგანს — გოგონებსაც და ბიჭუნებსაც აქედანვე აქვთ თავისი ოცნებაც, გეგმებიც. სწორედ საბავშვო ბაღში ეყრება საფუძველი მათს მისწრაფებებს.

— მე პელე უნდა გამოვიდე! — აცხადებს თმახუჭუჭა მალხაზი და მთელ დღეს წითელ ბურთს დასდევს. ბიჭუნას ეს გატაცება მოსვენებას არ აძლევდა აღმზრდელს, ერთ მშვენიერ დღეს ნორჩი ფეხბურთულებისთვის სპორტული ფორმა შეიძინა და თვითონაც ნორჩებივით გახარებულმა შეაღო ბაღის კარი.

უნდა გენახათ როგორი ჟივილხივილი ატყდა ბაღში. ყველამ გაიხარა, ძნელი გასარკვევი იყო ბავშვებს უფრო უხაროდათ თუ მათს აღმზრდელებს.

ფეხბურთელთა ფორმაში გამოწყობილი ბიჭუნები თავგამოდებით ებრძვიან ერთმანეთს და როდესაც რომელიმე ცქვიტი ბიჭუნა ბურთს მოწინააღმდეგის კარში მოათავსებს, მათი „გულშემატკივრების“ — ამხანაგი გოგონებისა და აღმზრდელების ტაშს იმსახურებენ.

ნორჩები არც კატა-თაგვობანას, კუკუმალულობას და სხვა ბავშვურ გართობებს ივიწყებენ.

ასე ჩაეყარა საფუძველი სპორტულ თამაშებს თბილისის ოქტომბრის რაიონის „თბილმშენის“ №106 ბაგა-ბაღში (გამგე ნ. სხირტლაძე). აღმზრდელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აქედანვე ხელი შეუწყონ ნორჩთა ფიზიკურ წრთობას, მაგრამ მათ საამისო ცოდნა და გამოცდილება აკლიათ; რა კარგი იქნებოდა, რომ ექსპერიმენტის სახით მაინც დაენიშნათ ამ ბაღში ფიზკულტურის მეთოდისტი, რადგან მარტო ფეხბურთის თამაშით შორს ვერ წავალთ, აღმზრდელებს კი სპორტის ხელმისაწვდომ სახეობებშიც კი ცოდნა აკლიათ.

იმედი, უნდა ვიქონიოთ, რომ მალხაზი და მისი ამხანაგები ფიზკულტურული მუშაობის მეთოდისტის დახმარებით კარგ სპორტულ წვრთნას მიიღებენ.

**ნ. მონიავა.**

## ✦ თელავი

გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში. ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თელავის, ცხინვალის, კასპის, გარდაბნის, მცხეთისა და ყვარლის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

როგორც გოგონათა, ასევე ჭაბუკთა შორის ცხინვალელმა ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

**ვ. მელქოევი.**
**(ჩვენი კორ.).**

## ✦ აბაშა

რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში სა[illegible]

## [illegible]

[illegible] მიქაოელებმა მოიგეს. მომდევნო ადგილებზე არიან ტყვირისა და პირველი მაისის სკოლების გუნდები. პირად პირველობაში იმარჯვა სამიქაოელმა რ. წვერავამ.

**რ. ჯანტურია.**

## ✦ ცხინვალი

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა 18 გუნდი მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთის საოლქო გათამაშებაში „ოქროს თავთავის“ თასზე ფეხბურთში.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ზნაურის საბჭოთა მეურნეობისა და სოფ. ავნევის კოლმეურნეობის გუნდებმა. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც წარმატება ზნაურელებს ხვდათ წილად — 4:2. მათ მოიპოვეს საპატიო პრიზი.

**ნ. ოთინაშვილი.**

## ✦ ზუგდიდი

ენგურქაღალდის კომბინატის მოჭადრაკეთა პირველობაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მუყაოს საწარმოს ხარატმა ლ. კვარაცხელიამ. II ადგილი ხვდა სატრანსპორტო განყოფილების ბრიგადირს ბ. ჭეჟიას, III — ცელულოზის საამქროს მუშას კ. ალმასიას.

**ბ. ალშიბაია.**

## სარედაქციო ფოსტა

# სპორტულ გუნდებს — შესაფერისი სახელწოდება

**საქართველოში,** ისევე როგორც სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებში, სპორტი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. წარმატებით ასპარეზობს ფეხბურთის, კალათბურთის, წყალბურთისა და სხვა მრავალი სპორტული კოლექტივი, რესპუბლიკაში ახლა პატარა სოფელშიც კი იმართება მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, რასაც დიდძალი მაყურებელი ესწრება.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ ფეხბურთელთა გუნდებს შესაფერისი ეროვნული სახელები აქვთ შერჩეული. ზოგს ასეთი სახელი თავიდანვე ერქვა, ზოგს კი შემდგომში შეუცვალეს. გულს ახარებს ქართული სპორტული გუნდების შემდეგი სახელწოდებანი: „შუქურა“ (ქობულეთი), „კახეთი“ (თელავი), „სალხინო“ (გეგეჭკორი), „კოლხეთი“ (ხობი), „ისანი“ (თბილისი), „სულორი“ (ვანი), „სამცხე“ (აწყური), „ქართლი“ (გორის რაიონი), „ივერია“ (ხაშური), „ეგრისი“ (ცხაკაია), „განთიადი“ (ბორჯომი), „ვარქეთილი“ (გარდაბანი), „არაგვი“ (დუშეთი), „შევარდენი“ (თბილისი), „მესხეთი“ (ახალციხე), „ვარძია“ (ასპინძა), „დიოსკურია“ (სოხუმი), „საქართველო“ (ოჩამჩირე) და სხვა მრავალი. სამწუხაროდ, ამაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს ჩვენი გუნდებისათვის შეუფერებელ, თანაც ისეთ სახელწოდებებს, რომლებიც სხვებსაც ჰქვიათ. ასეთებია: „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (ზუგდიდი), „სპარტაკი“ (თბილისი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „ტორპედო“ (ქუთაისი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „ვოდნიკი“ (!) (ფოთი) და სხვა. ნუთუ სპორტული გუნდის ჩამოყალიბება, წვრთნა, შეჯიბრებებზე გამოყვანა უფრო ადვილია, ვიდრე შესაფერისი სახელწოდების გამოძებნა?!

ამ საქმეში ჩვენ სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს საგრძნობლად ჩამოვრჩით. უკვე დიდი ხანია მათ იზრუნეს, რათა თავიანთი სპორტული გუნდებისათვის სათანადო სახელწოდებანი მიეკუთვნებინათ, ხოლო რომელთაც უცხო, უხეირო სახელები ერქვათ, ეროვნულით შეეცვალათ. ასეთებია: „კალევი“ (ტარტუ), „ჟალგირისი“ (კაუნასი), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) და სხვა, ხოლო კიშინიოვის „მოლდოვას“, ალმა-ათის „ლოკომოტივს“, ბაქოს „ნეფტიანიკსა“ და ერევნის „სპარტაკს“ ასევე შესაფერისი ეროვნული სახელწოდებანი გამოუძებნეს: „ნისტრუ“, „ყაირათი“, „ნევთჩი“ და „არარატი“. ჩვენთან კი დღემდე დარჩა „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „ბურევესტნიკი“, „ვოდნიკი“ („ქარიშხალა“ და „წყლოსანი“ საქმეს ვერ შველის!) და ა. შ. ამტკიცებენ, „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ და სხვები საკავშირო საზოგადოებებია და არ შეიძლება თანაკლუბელებს ერთი და იგივე სახელი არ ერქვათო! სრული აბსურდია! დედა თავის შვილებს სხვადასხვა სახელს რომ არქმევს, ამით მათ გარჩევას იადვილებს, თორემ იმაზე იოლი რა იქნებოდა, მშობელს შვილებისათვის ერთი სახელი ეწოდებინა?! კი მაგრამ, ვის რა აქვს საწინააღმდეგო, რომ, მაგალითად, თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ეკუთვნოდეს? განა ერევნის „სპარტაკს“ „არარატი“ რომ დაარქვეს, ამით მან სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“ ზურგი შეაქცია? ანდა რა არის „ვოდნიკი“? განა მას ჩვენებურად „კოლხეთი“, „პალიასტომი“ ან „რიონი“ არ აჯობებდა? დიახ, ჩვენს სპორტულ გუნდებს დროა შესაფერისი სახელები გამოვუძებნოთ. ასეთია, მაგალითად, „ივერია“, რომელიც თბილისის „დინამოს“ ნამდვილად მოუხდებოდა, „დურუჯი“, „კოლხეთი“, „ენგური“, „ლიხი“, „უშბა“, „არაგვი“ და სხვა მრავალი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყეს თბილისის დინამოელებს. როგორც სტუდენტებმა, ისე პროფესორ-მასწავლებლებმა ამ შეხვედრაზე მხურვალე სურვილი გამოთქვეს, რათა ჩვენს „დინამოსა“ და სხვა სპორტულ გუნდებს შესაფერისი ქართული სახელწოდებანი დაერქვას. ეს აზრი ყველა ჩვენგანს აწუხებს და, ვფიქრობთ, რადგან ამ წერილში დასმული საკითხი დედაენის სიწმინდის დაცვის სფეროს განეკუთვნება, ამდენად ღირსია ჯეროვანი ყურადღებისა!

**ზ. მამულაშვილი.**

მსოფლიოს XI ჩემპიონატი

# პირველი ლიდერები

Argentina'78

**მსოფლიო** ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდმა უკვე ჩაატარა თითო მატჩი და 1 ტურის შემდეგ გამოვლინდნენ ლიდერები, რომლებმაც 2-2 ქულა დააგროვეს თავიანთ ჯგუფებში. პირველში ეს შეძლეს არგენტინელებმა და იტალიელებმა, მეორეში — ტუნისელებმა, მესამეში — ავსტრიელებმა, მეოთხეში — ჰოლანდიელებმა და პერუელებმა.

**საყოველთაო** ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების — ბრაზილიელების შეხვედრა შვეციის ნაკრებთან, რომელიც 3 ივნისს შედგა მარ-დელ-პლატაში. ბრაზილიელებმა კვლავ აჩვენეს ბრწყინვალე ტექნიკა, მაგრამ მათი თავბრუდამხვევი ტრიუკები წარმატებით ხორციელდებოდა მინდვრის შუაგულში, საჯარიმო მოედანზე კი, მჭიდრო მეურვეობის პირობებში, შვედები აჩერებდნენ მეტოქის იერიშების უვნებელყოფას, რის შემდეგ ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ სწრაფი კონტრშეტევებისთვის, აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შობერგი, ვენდტი, ბუ ლარსონი და ლინდეროტი. კერძოდ, შობერგს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი მან გოლით დაამთავრა.

ბრაზილიელებმა პირველ ტაიმში ვერ გამოიყენეს გოლის გატანის 3 ასპროცენტიანი შანსი და მხოლოდ ბოლო წამებზე შეძლეს საპასუხო გოლის გატანა (რეინალდო). შესვენების შემდეგ სამგზის ჩემპიონები ბევრს ეცადნენ, მაგრამ შვედების გუნდი მათთვის კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ბრაზილიელები იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ მოკრძალებულ ფრეს. მათს მწვრთნელს კ. კუტინიოს არ დაუმალავს, რომ გუნდი ცუდად თამაშობდა.

მან ისიც აღნიშნა, რომ შვეციის ნაკრები ყველასთვის სერიოზულ მეტოქეს წარმოადგენს.

შვედების მწვრთნელი გ. ერიქსონი კმაყოფილი იყო შედეგითაც და თამაშითაც: „ჩვენ კარგი შანსები გაგვიჩნდა მეოთხედფინალში გასასვლელად. ფეხბურთელებმა მთლიანად შეასრულეს ტაქტიკური ამოცანა, საიმედოდ თამაშობდნენ დაცვაში და სწრაფად — კონტრიერიშისას“.

**ავსტრიის** ნაკრებმა ბუენოს-აირესში, „ველეზ სარსფილდის“ სტადიონზე, დაამარცხა ესპანეთის გუნდი — 2:1 (1:1). ანგარიში ავსტრიელებმა გახსნეს (შაჰნერი), შემდეგ დანიმ აღადგინა წონასწორობა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე კრანკლმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა.

„— ჩვენ არგენტინაში ჩამოვედით მხოლოდ იმიტომ, რომ გავიდეთ გათამაშების შემდგომ რაუნდში, — თქვა ავსტრიელთა მწვრთნელმა ჰ. სენეკოვიჩმა. — აქეთაა მიმართული ჩვენი ტაქტიკა, დაფუძნებული მკაცრ სათამაშო დისციპლინასა და წინასწარ მიცემულ დავალებათა შესრულებაზე. ამ ტაქტიკამ ესპანელებთან მატჩში გაამართლა“.

**ჩვენ** უკვე ვიტყობინებოდით მოულოდნელ შედეგზე ტუნისისა და მექსიკის გუნდებს შორის. აქ შესვენებამდე 1 წუთით ადრე ანგარიში პენალტით გახსნეს მექსიკელებმა (აიალა), მაგრამ აფრიკელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მეორე ტაიმი, როცა კააბიმ, იუმიდმა და დხაიბმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

**მოხდა** სხვა მოულოდნელობაც. შოტლანდიელი ფეხბურთელები ფავორიტებად ითვლებოდნენ თავიანთ ჯგუფში (IV), მაგრამ მათ მარცხი განიცადეს პერუსთან შეხვედრაში — 1:3 (1:1). ანგარიში გახსნეს შოტლანდიელებმა (ჟორდანი). გოლი გაქვითა კუეტომ, შემდეგ კი გუნდის ვეტერანმა კუბილასმა (იგი ჯერ კიდევ 1970 წლის ჩემპიონატში თამაშობდა მექსიკაში) გაიტანა 2 ბურთი.

შოტლანდიელთა მწვრთნელმა ა. მაკლეოდმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა მარცხი განიცადა საკუთარი შეცდომის გამო, რომ გატანილი გოლის შემდეგ გუნდს ალარაფერი გამოსდიოდა, წინ კი ძნელი მატჩია ჰოლანდიელებთან, აგრეთვე, შეხვედრა ირანელებთან.

**ჰოლანდიელებმა** თავიანთი უპირატესობა ცხადყვეს მენდოსაში ირანის ნაკრებთან — 3:0 (1:0). სამივე გოლი გაიტანა რენსენბრინკმა, მათგან 2 — პენალტით.

## მწვრთნელი ბოდიშს იხდის

უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ბოდიში მოიხადა მინდვრიდან გაძევებული 2 ფეხბურთელის გამო. ეს მოთამაშეები — ტიორეჩეკი და ნილაში ავტომატურად არიან დისკვალიფიცირებული შემდეგი მატჩისთვის, რომელიც უნგრელებს იტალიის გუნდთან აქვთ.

ეს აფრიკელ ფეხბურთელთა პირველი გამარჯვებაა მსოფლიო ჩემპიონატების გადამწყვეტ ეტაპზე, რომელშიც ისინი მონაწილეობენ 1970 წლიდან.

ტუნისელთა მწვრთნელმა მ. ჩეტალიმ განაცხადა:

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება. გათამაშების დაწყებამდე ჩვენ ყველა ეშკარა აუტსაიდერად გვთვლიდა, მაგრამ შევძელით დაგვერწმუნებინა ხალხი, რომ ვიცით ფეხბურთის თამაში. რასაკვირველია ჩვენ ბევრს ვსწავლობთ აქ, მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ შევეცდებით შემდგომშიც გამოვავლინოთ საკუთარი შესაძლებლობანი.

## 50-წლიანი ტრადიცია

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ საფრანგეთის ნაკრებს იტალიის გუნდისთვის არც ერთხელ არ მოუგია 1928 წლის შემდეგ. ტრადიცია ახლაც ძალაში დარჩა, თუმცა ფრანგებს შეეძლოთ მისი დარღვევა.

1977 წლის მარტიდან მოყოლებული ახლანდელ მატჩამდე იტალიელებთან საფრანგეთის ნაკრებს ნაგებული არ ჰქონდა არც ერთი საერთაშორისო მატჩი.

## ავილანჟის შემდეგ — პელე?

ფიფა-ს კონგრესმა ამ დღეებში კიდევ 4 წლით გაუგრძელა რწმუნებულება თავის პრეზიდენტს ჟ. ავილანჟს. 1982 წელს, ავილანჟის განცხადებით, იგი უკვე აღარ აპირებს მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის არჩევნებში.

ვინ შეცვლის მას?

როგორც სამხრეთ ამერიკის პრესა იუწყება, ავილანჟის ყველაზე უფრო რეალურ შემცვლელად ითვლება პელე. მან ხმების დიდი უმრავლესობა უნდა მოაგროვოს, ვინაიდან, მიმომხილველთა ცნობით, ავტორიტეტიც დიდი აქვს და სათანადო დიპლომატიური მონაცემებიც. პელეს ყველაზე უფრო სავარაუდო მეტოქედ ფიფა-ს პრეზიდენტის პოსტზე ასახელებენ ა. ფრანკის (იტალია).

გავიხსენოთ, ვინ იყვნენ დღემდე ფიფა-ს პრეზიდენტები: 1904-6 წლებში — გერენი (საფრანგეთი), 1906-18 წლებში — ვულფილი (ინგლისი), 1921-54 — რიმე (საფრანგეთი), 1955-56 წლებში — დრეიერსი (ბელგია), 1956-60 წლებში — დრიური (ინგლისი), 1961-74 წლებში — როუზი (ინგლისი), 1974 წლიდან დღემდე — ავილანჟი (ბრაზილია).

## არგენტინა ზეიმობს

უნგრეთის ნაკრებთან მოპოვებული პირველი გამარჯვების შემდეგ არგენტინელი გულშემატკივრები თავდავიწყებას მიეცნენ: ბუენოს-აირესის ქუჩებში მთელი ღამე არ შეწყდარა გულშემატკივართა საზეიმო მსვლელობა ჩირაღდნებით ხელში.

## ბომბარდირები

ყველა ქვეჯგუფში ჩატარებული I ტურის მატჩების შემდეგ საუკეთესო ბომბარდირია ჰოლანდიელი რენსენბრინკი, რომლის ანგარიშზე ჩაიწერა 3 ბურთი. 2 გოლი გაიტანა პერუელმა კუბილასმა, თითო ბურთი — 17 ფეხბურთელმა.

## პირველი გამარჯვება

ტუნისისა და მექსიკის გუნდების შეხვედრაში მოგება ტუნისელებს დარჩათ — 3:1.




## გაუჩიტოს ტალღაზე

● მეხიკოს ერთ-ერთ ქუჩაზე მექსიკის ნაკრების ერთმა თავგამოდებულმა გულშემატკივარმა მსოფლიოს XI ჩემპიონატის დაწყების წინ გააკრა ლოზუნგი — „მექსიკის ნაკრები — მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი“. ამ წარწერის შემყურე გამვლელები მხოლოდ იღიმებოდნენ, თვით მექსიკის ნაკრებმა კი... წააგო მატჩი (1:3) ყველაზე სუსტ ფინალისტთან — ტუნისის გუნდთან. თუმცა, რა გასაკვირია, მექსიკელთა მწვრთნელმა ხენიორ როჩამ ჩემპიონატის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე განაცხადა: „ჩემს ბიჭებს ყველაფერი შეუძლიათ—მათგან ნებისმიერ სიურპრიზს უნდა ელოდე!“.

● მსოფლიო ჩემპიონის — გფრ-ის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და კაპიტანი, განთქმული ფ. ბეკენბაუერი, რომელიც ამერიკის კლუბ „კოსმოსში“ თამაშობს... კინაღამ გფრ-ის ნაკრების თეთრი მაისურით ეწვია არგენტინას. საქმე ისაა, რომ „კოსმოსის“ ხელმძღვანელობა, მიუხედავად დადებული კონტრაქტისა, ნებას აძლევდა მას გამოსულიყო მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ გფრ-ის ნაკრების მწვრთნელს ჰ. შიონს უნდოდა ამ შესანიშნავი ოსტატის ხელში ჩაგდება არა 3 კვირით, არამედ 2-3 თვით, რათა მასთან ერთად ახალგაზრდა ფეხბურთელებს ევარჯიშათ. ცხადია, რომ კოსმოსელებმა ამ ვადით არ გაუშვეს თავიანთი ძირითადი ვარსკვლავი და ახლა ფ. ბეკენბაუერს ისღა დარჩენია, პროგნოზებს „მოჰკიდოს ხელი“.

— მსოფლიო ჩემპიონობას გფრ-ის ნაკრები მოიპოვებს, — ამბობს იგი, ამასთან მას ყველაზე მეტ წინააღმდეგობას გაუწევენ არგენტინელები, ბრაზილიელები და, შესაძლოა, ჰოლანდიელები.

● მსოფლიოს XI ჩემპიონატს ემსახურება 32 მსაჯი (შერჩეული 730-დან), რომელთა შორის არის საბჭოთა არბიტრიც — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ლენინგრადიდან, 49 წლის ა. ივანოვი. თავის სამსაჯო პრაქტიკაში ა. ივანოვს (პროფესიით იგი რადიოაპარატურის ამწყობია) ჩატარებული აქვს 200-მდე სხვადასხვა რანგის მატჩი. იგი დაჯილდოებულია სამახსოვრო ვერცხლისა და ოქროს მედლებით, რვაჯერ იყო შეყვანილი უძლიერეს მსაჯთა ათეულში. ა. ივანოვამდე მსოფლიო ჩემპიონატებს სჯიდნენ მოსკოველი ნ. ლატიშევი (1958 და 1962 წლებში), ბაქოელი ტ. ბახრამოვი (1966 და და 1970 წლებში) და მოსკოველი პ. კაზაკოვი (1974 წელს).

● შეჯიბრების ორგანიზატორებმა უფლება მისცეს უნგრეთის ნაკრების წევრებს, პირველ მატჩში გაიკეთონ სამგლოვიარო სამკლაურები ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშისა და მწვრთნელის, სახელგანთქმული ნახევარმცველის იოჟეფ ბოჟიკის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც უეცრად გარდაიცვალა გულის შეტევით 31 მაისს. ი. ბოჟიკი უნგრეთის ე. წ. „დიდ გუნდში“ გამოდიოდა 1949-1958 წლებში და ნაკრებში 100 მატჩი ჰქონდა ჩატარებული.



სურათზე: მატჩის მომენტი იტალიისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. იტალიელებს გააქვთ პირველი გოლი.

## სატურნირო კალეიდოსკოპი

მთელი ჩემპიონატის მანძილზე ბრაზილიელები მაყურებელთა თანდასწრებით ივარჯიშებენ, ხოლო მათი მწვრთნელი კ. კუტინიო ერთადერთი წარმომადგენელი იქნება პრესის მუშაკებთან. ეს გადაწყვეტილება მიიღო ამ ქვეყნის ფეხბურთის ტექნიკურმა კომისიამ.

* * *

უკვე ჩემპიონატის დაწყებამდე გახდა ცნობილი, რომ ავსტრიელი კრონცი „ფეიენორდიდან“ (როტერდამი) გადავიდა „რეალ სარაგოსაში“ (ესპანეთი), ხოლო არგენტინელი ბერტონი — „ფც სევილიაში“.

● ● ●

დიდი ბრიტანეთის ცნობილმა სატელევიზიო ფირმამ იტვ-მ არგენტინის ჩემპიონატზე მატჩების კომენტირება დაავალა გამოჩენილ ფეხბურთელებს — კრუიფსა და კიგანს. პირველი კომენტარს გაუკეთებს ჰოლანდია — შოტლანდიის შეხვედრას, კიგანი კი დანარჩენ მატჩებს.

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

**3 ივნისს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის შეხვედრები:

„ქაირათი“ — „დინამო“ მ. 1:0

„ფახთაქორი“ — „ზარია“ 0:1

„არარატი“ — „დინამო“ კ. 1:4

„ნეფთჩი“ — „სპარტაკი“ 8:1

ცსკა — „შახტიორი“ 1:0

„ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“ 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 10 | 6 | 2 | 2 | 11—8 | 14 |
| ცსკა | 10 | 6 | 1 | 3 | 12—9 | 13 |
| „დინამო“ კ. | 10 | 4 | 4 | 2 | 12—6 | 12 |
| „ტორპედო“ | 10 | 4 | 4 | 2 | 12—7 | 12 |
| „ჩერნომორეცი“ | 10 | 4 | 4 | 2 | 11—7 | 12 |
| „შახტიორი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 11—7 | 11 |
| „ზენიტი“ | 10 | 3 | 5 | 2 | 10—11 | 11 |
| „ფახთაქორი“ | 10 | 4 | 2 | 4 | 17—13 | 10 |
| „ზარია“ | 10 | 4 | 2 | 4 | 12—10 | 10 |
| „ქაირათი“ | 10 | 4 | 2 | 4 | 10—13 | 10 |
| „დინამო“ მ. | 9 | 3 | 4 | 2 | 9—7 | 10 |
| „ლოკომოტივი“ | 10 | 2 | 5 | 3 | 9—11 | 9 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 3 | 1 | 6 | 7—11 | 7 |
| „არარატი“ | 10 | 3 | 1 | 6 | 5—13 | 7 |
| „სპარტაკი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 8—16 | 6 |
| „დნეპრი“ | 10 | 2 | 0 | 8 | 5—12 | 4 |

### პირველი ლიგა

მოგვყავს ქუთაისის „ტორპედოს“ 2 ივნისის მატჩის სტატისტიკური მონაცემები.

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:2 (0:1).

„სპარტაკი“: გრებენიუკი, პოდლუჟნი, სუანოვი, ისაკოვი, ჩიტაური, მირიკოვი, ქერაშვილი, ხუადონოვი, კრავჩენკო, ზაზროევი (ვორონინი), მამუკოვი.

„ტორპედო“: მჭედლიძე, ზ. სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, ფარულავა (ა. კვერნაძე), ოქროპირაშვილი, ბურკაძე, თევზაძე, ფესტვენიძე (კვაჰანტირაძე), გაბიჩვაძე (ქვიჯია), ხუცურაული.

მსაჯი ა. ტემეტოვი (უჟგოროდი).

გოლები: ხუცურაული (8ე-20, 75-ე წუთები), ხუადონოვი (85).

დუბლიორები — 0:1.

### მეორე ლიგა

**4 ივნისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების კალენდარული შეხვედრები:

„შირაკი“ (ლენინაკანი) — „დილა“ (გორი) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1, „გასტელო“ (უფა) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 2:1, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:1, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „დინამო“ (კიროვი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 16 | 11 | 2 | 3 | 23—13 | 24 |
| „შირაკი“ | 15 | 9 | 6 | 1 | 32—13 | 24 |
| ფიზკ. ინსტ. | 16 | 6 | 7 | 3 | 16—12 | 19 |
| „ტურბინა“ | 16 | 8 | 2 | 6 | 21—24 | 18 |
| „ყარაბახი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 20—11 | 18 |
| „ზვეზდა“ | 16 | 7 | 4 | 5 | 18—11 | 18 |
| „დინამო“ ზ. | 16 | 6 | 6 | 4 | 17—12 | 18 |
| „ლოკომოტ.“ | 16 | 7 | 3 | 6 | 24—24 | 17 |
| „დინამო“ ს. | 16 | 6 | 5 | 5 | 22—18 | 17 |
| „გურია“ | 16 | 6 | 5 | 5 | 21—20 | 17 |
| „დინამო“ ბ. | 16 | 6 | 5 | 5 | 16—14 | 17 |
| „ავტომობ.“ | 16 | 8 | 0 | 8 | 17—19 | 16 |
| „ზენიტი“ | 16 | 5 | 6 | 5 | 15—14 | 16 |
| „გასტელო“ | 16 | 6 | 3 | 7 | 17—21 | 15 |
| „რუბინი“ | 15 | 5 | 5 | 5 | 16—17 | 15 |
| „ტორპედო“ | 16 | 5 | 5 | 6 | 14—11 | 15 |
| „გაზოვიკი“ | 16 | 5 | 4 | 7 | 15—17 | 14 |
| „პროგრესი“ | 15 | 6 | 1 | 8 | 16—20 | 13 |
| „დრუჟბა“ | 16 | 5 | 3 | 8 | 16—15 | 13 |
| „ურალეცი“ | 16 | 5 | 3 | 8 | 16—27 | 13 |
| „ხაზარი“ | 16 | 5 | 3 | 8 | 14—21 | 13 |
| „დილა“ | 16 | 2 | 9 | 5 | 13—17 | 13 |
| „დინამო“ კრ. | 16 | 5 | 2 | 9 | 14—19 | 12 |
| „არაზი“ | 16 | 2 | 3 | 11 | 13—36 | 7 |

## ჭადრაკი

### სტარტზეა 120 ნორჩი

**ბელცი, 4 ივნისი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ სტარტი აიღო X საკავშირო გათამაშებამ მსოფლიო ჩემპიონების პრიზზე „თეთრი ეტლი".

შეჯიბრების 18 მონაწილე გუნდმა ბრძოლა შვეიცარიული სისტემით დაიწყო. ითამაშებენ ხუთ ტურს, რომლის შემდეგ კოლექტივები განაწილდებიან სამ ჯგუფში. I ჯგუფში იქნებიან I-VI ადგილებზე მყოფნი, მეორეში — VII-XII ადგილებზე გასული. მესამეში — XIII-XVIII ადგილების მფლობელი გუნდები. დასკვნითი ეტაპი წრიული სისტემით ჩატარდება.

პრიზისთვის მებრძოლთა შორისაა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის გუნდიც (ც. შავგულიძე, ზ. ლომინაძე, კ. რაზოვსკი, რ. ესებუა და ე. ფახიროვა), რომელმაც „თეთრი ეტლის" რესპუბლიკურ გათამაშებაში გაიმარჯვა.

I ტურში ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა სძლიეს (5:0) ტაჯიკეთის გუნდს, მეორე დღეს ყაიმით (2,5:2,5) დაამთავრეს შეხვედრა ლენინგრადელ თანატოლებთან. 7,5 ქულით ისინი II ადგილზე არიან. ორივე შეხვედრა მოიგეს ესებუამ და ფახიროვამ, ლომინაძემ 1,5 ქულა მოაგროვა, შავგულიძემ და რაზოვსკიმ — თითო.

ლიდერობს ქ. პერმის გუნდი — 9 ქულა.

**თ. ხარლამიძე.**

### დაწინაურდა გვენცაძე

„...ნამოს" რესპუბლიკური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, 10 ტურის შემდეგ დაწინაურდა ოსტატობის კანდიდატი ბ. გვენცაძე — 7,5 ქულა. მან ლიდერობისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუგო ა. თეიმურაზიანს.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან გ. გამრეკელი, გ. გიორგაძე, ი. კუზმინი. ი. სიჭინავილი და რ. დაღიანი — 7-7. თეიმურაზიანს 6,5 ქულა აქვს.

სათამაშო დარჩა 3 ტური.

**გ. ფამილიანტი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

### თამაშობს ფიშერი

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეული დამატება „64" (№ 22) იუწყება, რომ აშშ-ს ერთ-ერთმა მეცნიერულმა ჟურნალმა ამას წინათ გამოაქვეყნა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ რ. ფიშერის სამი პარტია, რომელიც მას შარშან უთამაშია მისაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში საჭადრაკო კომპიუტერთან.

ეს ცნობა დიდად საინტერესოა, რადგან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების (1972 წ.) შემდეგ ფიშერი განუდგა ჭადრაკს და არსად უთამაშია.

ფიშერმა სამივე პარტია მოიგო. იგი „დაუნდობლად" თამაშობდა და ელექტროგამომთვლელ მანქანას არავითარი შეღავათი არ მისცა. მანქანაც არ ნებდებოდა, შამათამდე იბრძოდა.

### როცა სხვები ისვენებენ

**ქუთაისი, 6 ივნისი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ქალთა პირველობაში კვირას XIII ტურის შეხვედრები მოეწყო.

წარმატებით ითამაშეს ლიდერებმა: მ. წერეთელმა მოუგო ლ. ბელოზიოროვას, თ. ხუგაშვილმა — მ. ჭირაქაძეს, ც. კობაიძემ — ლ. თანდაშვილს, ც. ქასოშვილმა — ნ. მუსერიძეს, თ. მესხმა — ლ. ფაჩუაშვილს.

გადაიდო ნ. მელაშვილი — ც. კახაბრიშვილისა და ქ. მელაშვილი — ნ. შეყილაძის პარტიები.

ხ. გურგენიძემ დაამარცხა ნ. გოგია, ნ. იმნაძემ — ი. აზნიანიძე.

ბელოზიოროვამ შაბათ-კვირას ორი გამოტოვებული პარტიაც ითამაშა. წააგო ხუგაშვილთან და დაუზავდა მუსერიძეს.

13 ტურის შემდეგ თ. ხუგაშვილს 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. წერეთელს — 10,5, ც. კობაიძეს — 9,5, ნ. მელაშვილს (ყველა — თბილისი) — 9 (1), ც. ქასოშვილს (გორი) — 9.

**ზ. ბურკაძე,**
**პირველობის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

* * *

**სურათზე:** ც. კობაიძისა (მარცხნივ) და ლ. თანდაშვილის შეხვედრა.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.



## მძლეოსნობა

**ერფურტში** 200 მეტრზე რბენაში ქალთა მსოფლიო რეკორდის დამყარების შესახებ „ლელო" უკვე წერდა. ახლა დავუმატებთ, რომ იმავე შეჯიბრებაში ბერლინის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლემ, 19 წლის რ. შტოიკმა, რომელიც იუნიორთა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენია, უროს ტყორცნაში დიდოსტატური შედეგი (77 მ, 48 სმ) აჩვენა და თავისივე მსოფლიო მიღწევა 1,10 მეტრით გააუმჯობესა. ამავე შეჯიბრებაში ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში 2 წუთის ზღვარიდან გამოვიდნენ ა. ვაისი (1.59,3) და პ. ულრიხი (1.59,6). ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე უძლიერესი გახლდათ ო. ბაიერი — 1.45,8.

მსოფლიო რეკორდსმენმა მ. ელსნერმა ძლიერი შემხვედრი ქარის მიუხედავად 100 მეტრი 11,15 წამში გაირბინა. 200 მეტრზე შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენი მ. კოხი მას 0,04 წამით ჩამორჩა. პ. ფელკემ შუბი 61,90 მეტრზე ტყორცნა და 54 სანტიმეტრი მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს რ. ფუქსს. მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი უ. ბაიერი აქაც პირველი იყო, ოღონდ ამჯერად მან 20,93 მეტრი აჩვენა ბირთვის კვრაში.

**ვარშავაში** პოლონეთის ორი საუკეთესო ჭოკით მხტომელის, ოლიმპიური ჩემპიონის ტ. სლიუსარსკისა და ევროპის რეკორდსმენის ვ. კოზაკევიჩის დუელი ჩემპიონის გამარჯვებით დამთავრდა — 560 სმ. მეტოქე მას 10 სანტიმეტრით ჩამორჩა. შემდეგ ორივემ იერიში მიიტანა მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ ამაოდ.



**სპორტის** მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ელენე ვაიცეხოვსკაია. მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში მან ოქროს მედალი დაისაკუთრა 10-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. ამჟამად ელენე ინტენსიურად ემზადება მოსკოვის ოლიმპიადისთვის.

* * *

**სურათზე:** ე. ვაიცეხოვსკაია თავის საყვარელ სუვენირთან ერთად.

საკდესის ფოტო.

## ძიდაობა

**სოხუმში** დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა III საზაფხულო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, მახარაძის, ონის, კასპის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების წარმომადგენლები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის სპორტსმენები, მეორეზე არიან აჭარის, მესამეზე — სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბ. კაკალაძე, შ. ბერიძე (ორივე — აჭარა), ვ. კეკუტია, ი. ლეგაშვილი (ორივე — აფხაზეთი), ს. ჯიოევი (სამხრეთ ოსეთი), ო. კოზაშვილი, ი. ბუბაშვილი, გ. ყურაშვილი (ყველა — აფხაზეთი) და ს. ქლენტი (ქუთაისი).

**ა. ბუმბურიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## ცვლილებები მსოფლიო თასის კალენდარში

**ჟენევა.** ახალ სეზონში სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასზე შეჯიბრების ჩატარების ფორმულაში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი.

როგორც ცნობილია, 1977-78 წლების სეზონში, რომელიც 19 მარტს დამთავრდა, შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი იყო ვაჟებისთვის 8 სწრაფდაშვება, 7-7 გიგანტური სლალომი და სლალომი. 1978-79 წლების სეზონში, რომელიც 7 სექტემბერს დაიწყება ვალ დ'იზერში (საფრანგეთი) და დამთავრდება 20 მარტს ფურანოში (იაპონია), პროგრამაში იქნება 10-10 სწრაფდაშვება, გიგანტური სლალომი და სლალომი. ეს ყველაზე ძნელი პროგრამაა შეჯიბრების 17 წლის ისტორიაში. მსოფლიო თასის გათამაშება პირველად ჩატარდება ლეიკ-პლესიდში და ლეიკ-ლიუისში (აშშ).

ახალ სეზონში ქალთა პროგრამაში კვლავ 22 სტარტი იქნება, ხოლო ერთი გიგანტური სლალომი შეიცვლება დამატებითი სწრაფდაშვებით. ასე რომ პროგრამაში იქნება 8 სწრაფდაშვება და 7-7 გიგანტური სლალომი და სლალომი.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია თავის ყოველწლიურ კონგრესზე, რომელიც წელს ივნისში პარიზში გაიმართება, დაადგენს სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასზე შეჯიბრების ჩატარების კონკრეტულ ვადებსა და ადგილებს. (საკდესი).

## „ვეცდები გავიმეორო..."

„ვიმედოვნებ, მოსკოვის ოლიმპიადაზე ისევე წარმატებით ვიასპარეზო, როგორც ბელგრადში", — განუცხადა ჟურნალისტებს პირველ უმჩატეს წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონმა, კენიელმა მოკრივემ სტეფენ მუჩოკიმ, რომელიც ბელგრადში ტურნირის ყველაზე ტექნიკურ სპორტსმენად აღიარეს.

— თქვენი წონის (48 კგ-მდე) მოკრივეებს ბევრი საზრუნავი აქვთ — თქვენ არ გაწუხებთ პრობლემები? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა მუჩოკის.

— არა. მე ვიკვებები ნორმალურად, — უპასუხა მან. — ვიმედოვნებ, მოსკოვის თამაშებისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები.

ოთხი წლის წინათ, ჰავანაში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში ყველაზე მსუბუქი წონითი კატეგორიის ფინალში (როგორც იუგოსლავიის დედაქალაქში) ერთმანეთს ხვდებოდნენ მუჩოკი და კუბელი ხორხე ერნანდესი. ჰავანაში გაიმარჯვა კუბელმა მოკრივემ. რამ განაპირობა ახლა მუჩოკის გამარჯვება?

— უპირველესად იმან, რომ ბელგრადში ფინალური ბრძოლის სამივე რაუნდში ნაკლებ შეცდომებს ვუშვებდი, ვიდრე ოთხი წლის წინათ, — უპასუხა კენიელმა მოკრივემ, — მეორეც, ჰავანის რინგზე, კრივში მოღვაწეობის მხოლოდ ერთი წლის „სტაჟი" მქონდა. გასულ დროში 70 ბრძოლა ჩავატარე, გამოცდილება მივიღე და ახლა უფრო დამაჯერებლად გამოვედი. „მე საერთოდ არ ვჩქარობ ტურნირზე მთელი ძალების დახარჯვას, — აღიარა კენიელმა სპორტსმენმა. — ჩემის აზრით, საჭიროა მიეჩვიო შეჯიბრების ატმოსფეროს, იყო თავდაჯერებული უცნობ მოკრივეებთან შეხვედრისას".

კითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ აღიარების გამო, მუჩოკიმ უპასუხა: „მე კი ამ საპატიო ჯილდოს გავუყოფდი ჩემს მწვრთნელს პიტერ მვარანგას, რომლის წყალობითაც მივაღწიე ასეთ წარმატებას". (საკდესი).

### სპიტცის როლისთვის არ გამოდგა... სპიტცი

ამერიკელი მოცურავე მარკ სპიტცი, რომელმაც 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში 7 ოქროს მედალი მოიპოვა, ასპარეზობებში აღარ მონაწილეობს. ახლა ჰოლივუდის რეჟისორი პოლაკი მის შესახებ სპეციალურ ფილმს დგამს. სპიტცის როლის შესასრულებლად ჯერ გადაწყვიტეს თვით სპიტცი მოეწვიათ, მაგრამ შემდეგ პოლაკმა ხელი აიღო ამ განზრახვაზე.

რატომ? მოვუსმინოთ თვით რეჟისორს:

„სპიტცმა იმდენად დაკარგა სპორტული ფორმა, რომ ცურვის სცენების გადაღების დროს იძულებული გავხდებოდით დუბლიორი მოგვეწვია".

ამიტომ პოლაკის გადაწყვეტილებით სპიტცი ვერ შეასრულებს... სპიტცის როლს.

### რას ნიშნავს ასაკი!

ამერიკული ჰოკეის ერთ-ერთმა ვეტერანმა, 67 წლის კენ ჰანმა, რომელიც მინესოტის შტატის „ვეტერანთა ლიგაში" თამაშობს, გაზეთ „მინეაპოლის ტრიბუნის" კორესპონდენტ ჰეინორდს განუცხადა:

— მე კვლავინდებურად აქტიურად ვთამაშობ ჰოკეის, მაგრამ ასაკი მაინც ბევრს ნიშნავს. შაიბას რომ დავეუფლები, ზოგჯერ მავიწყდება, შემდეგ რა უნდა გავაკეთო.

### სულ 3 წლის შემდეგ

როგორც ბელგრადის „ბორბა" იუწყება, ერთმა ჩიკაგოელმა ჟურნალისტმა მოახერხა ესაუბრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბობი ფიშერთან, რომელიც მას გაეცნო, როგორც უბრალო ჭადრაკის მოყვარული. საუბრის დროს ფიშერმა წყენით განაცხადა, რომ მას აშკარად ივიწყებენ და ამის დასადასტურებლად ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

არცთუ დიდი ხნის წინათ ფიშერი ერთ-ერთ კაფეს ეწვია. მეზობელ მაგიდასთან ორი ახალგაზრდა კაცი ჭადრაკს თამაშობდა. მას შემდეგ, რაც ერთმა მათგანმა ხელიდან გაუშვა მოგების შანსი, ფიშერმა ვერ მოითმინა და მიუთითა მოგების გზისაკენ. ამის საპასუხოდ მას უთხრეს, რომ „ნუ ერევა თამაშში, რომელზედაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს".

„მე ბობი ფიშერი ვარ", განაცხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ არც ერთ მოთამაშეს მისი სახელი საერთოდ არ გაუგონია.

„და ეს ხდება სულ სამი წლის შემდეგ, რაც მე ხელი ავიღე მსოფლიოს ჩემპიონობაზე", — სევდიანად დასძინა ფიშერმა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-61; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-51.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07870